პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

10 თებერვალი, ოთხშაბათი, 1988 წ. № 29 (9690) ▲ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ამ დღეს დიდხანს ელოდნენ ჩვენი სპორტსმენები და სპორტის მოყვარულები. საქართველოს სპორტსახკომისა და სახალხო დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ერთობლივი ზრუნვით შაბათს, 13 თებერვალს, თბილისში, დიღმის ფიზკულტურელთა პარკში (ახმეტელის ქუჩა), საზეიმოდ ჩაეყრება საფუძველი ჩემპიონთა ხეივანს. მოეწყობა ამ მნიშვნელოვანი ღონისძიებისადმი მიძღვნილი ცერემონიალი და ფართო სპორტული სანახაობა. დასაწყისი 11 საათზე.

საქართველოს პროფკავშირული სპორტული საზოგადოების I ყრილობის დელეგატი

# საქმით განმტკიცებული სიყვარული

პროფკავშირების სპორტული საზოგადოების ზუგდიდის საქალაქო კონფერენციაზე რესპუბლიკური ყრილობის დელეგატად აირჩიეს „საქქაღალდმრეწვის" გენერალური დირექტორი ოთარ ფაცაცია. მისი ხელმძღვანელობით ერთ დროს ჩამორჩენილი საწარმო მოწინავეთა რიგებში ჩადგა. წინსვლა მარტო საწარმოო მაჩვენებლებს როდი დაეტყო — ძირფესვიანად გარდაიქმნა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობაც.

„ლელოს" კორესპონდენტი შეხვდა ოთარ ფაცაციას. გთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს.



ოთარ ფაცაცია.

● ბოლო ხანებში ენგურქაღალდკომბინატის ტერიტორია საგრძნობლად გაფართოვდა — შენდება საცხოვრებელი სახლები, კულტსაგანმანათლებლო, საყოფაცხოვრებო თუ სპორტული ობიექტები. გაიზარდა მუშათა შრომის ანაზღაურება, გაუმჯობესდა მათი შრომისა და დასვენების პირობები. როგორ მიაღწიეთ ამას?

— 60-70-იან წლებში კომბინატში მძიმე ეკონომიკური ვითარება შეიქმნა. აუცილებელი გახდა მკვეთრი შემობრუნება. თანდათანობით შევცვალეთ მანქანა-დანადგარები, ავითვისეთ მოწინავეთა გამოცდილება, განვავითარეთ მომგებიანი დამხმარე დარგი, გამოვუშვით სახალხო მოხმარების საქონელი. სასიკეთო ცვლილებებს, რა თქმა უნდა, სასურველი შედეგი მოჰყვა. 1981 წელს კომბინატი გაერთიანება „საქქაღალდმრეწვად" გადაკეთდა და საკავშირო სამინისტროს დაექვემდებარა. მაღალმა რენტაბელობამ შესაძლებელი გახადა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გაზრდა, მათი სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. მარტო ამ ხუთწლედში სპორტული ბაზების მშენებლობისათვის

იხ. მე-2 გვ.

## სამზადისი გრძელდება...

ალმა-ათა. ძიუდოისტთა აქ დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატის შედეგებს, ზოგადად, ჩვენი მკითხველები უკვე იცნობენ. მაგრამ რამდენიმე სიტყვას შეჯიბრების ბოლო დღეზე მაინც ვიტყვით, მით უფრო, რომ ამ დღეს საქართველოს მოჭიდავეებმა ორი ოქროს მედალი მოიპოვეს.

60 კგ წონის ფინალში საქართველოს გუნდის წევრის ამირან ტოტიკაშვილის მეტოქე ადგილობრივი ა. ხამხოევი იყო. ტოტიკაშვილმა სწორედ მისი დამარცხებით მოიპოვა ოქროს მედალი.

აბსოლუტურ კატეგორიაში, როგორც ვიუწყებოდით, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა ქუთაისელი ავთანდილ გუბელაძე. მან ფინალური ორთაბრძოლა უკრაინელ გ. იარემენკოს მოუგო.

ჩემპიონატი დამთავრდა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ძიუდოისტებისთვის ოლიმპიური სამზადისის ბოლო ეტაპი სწორედ ამ შეჯიბრებით დაიწყო.

რამდენიმე სიტყვა იმაზე, თუ როგორ განაწილდა საპრიზო ადგილები ბოლო ოთხ წონით კატეგორიაში:

**60 კგ.** 1. ა. ტოტიკაშვილი (საქართველო), 2. ა. ხამხოევი (ყაზახეთი), 3. გ. ფაუსტოვი (მოლდავეთი) და რ. რაშიტოვი (რუსეთის ფედერაცია).

**65 კგ.** 1. ს. ამიროვი (ყაზახეთი), 2. ს. კოსმინინი, 3. ე. ლვოვი და ი. გლივუკი (სამივე — რუსეთის ფედერაცია).

**71 კგ.** 1. ი. შკარინი, 2. ს. მინგაზოვი (ორივე — რუსეთის ფედერაცია), 3. გ. თენაძე (საქართველო) და ს. გორიჩევი (რუსეთის ფედერაცია).

**აბსოლუტური კატეგორია.** 1. ა. გუბელაძე (საქართველო), 2. გ. იარემენკო, 3. ო. ზინჩენკო (ორივე — უკრაინა) და ა. ტრასოვი (რუსეთის ფედერაცია).

ჭადრაკში მსოფლიო პირველობისთვის პრეტენდენტ ქალთა ტურნირი

## ლიდერებიც გამოვლინდნენ და აუტსაიდერებიც

**IX ტურში** გულშემატკივართა ყურადღება მიიპყრო ნანა ალექსანდრიასა და ელენა ახმილოვსკაიას შეხვედრამ. ახმილოვსკაიამ ახალინდური დაცვა აირჩია. ალექსანდრია კარგად მომზადებული შეხვდა დებიუტს, შავებმა წინდაუხედავად მიიღო — მან მეორე პაიკიც შესწირა მოწინააღმდეგეს.

შეიძლება ითქვას, ამ მონაკვეთში ალექსანდრია ზუსტად თამაშობდა — ერთი პაიკი დააბრუნა და დიდი პოზიციური უპირატესობა შეინარჩუნა. მეტოქეზე უარესი





ითამაშეს, რის გამოც თეთრებმა მეათე სვლაზე პაიკი მოიგეს. მართალია, ამასობაში ალექსანდრიამ ტემპი დაკარგა, მაგრამ მისი პოზიცია მტკიცე იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნანას ორი კუ ჰყავდა მეტოქის კუსა და მხედრის წინააღმდეგ. აქ, ეტყობა, ახმილოვსკაიამ სწორი გადაწყვეტილება პოზიციის მიუხედავად, ახმილოვსკაია შეუპოვრად იცავდა თავს. აქ მას „მოკავშირეც" გამოუჩნდა — ალექსანდრია ძლიერ ცაიტნოტში აღმოჩნდა და არაზუსტად თამაშობდა. მან არა მარტო მატერიალური

იხ. მე-3 გვ.

## ფინალში მინიმალური უპირატესობით

**აბაკანი.** ბურთიან ჰოკეიში საერთაშორისო ტურნირმა გაზეთ „სოვეტსკაია როსიას" პრიზზე ადგილობრივ გულშემატკივართა დიდი ინტერესი გამოიწვია. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქეები სსრ კავშირისა და შვეციის ნაკრები გუნდები. დაძაბული ბრძოლა საბჭოთა ჰოკეისტების გამარჯვებით დამთავრდა — 4:3. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს: ანუფრიენკომ, ლომანოვმა, გრაჩოვმა და ფასხუტდინოვმა.

მესამე ადგილისთვის გამართულ მატჩში ფინელებმა ნორვეგიელებს აჯობეს — 11:2.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ საუკეთესო მოთამაშეთათვის დაწესებული პრიზები გადაეცათ: მეკარე პერ პეტერსონს (შვეცია), მცველ ვიქტორ შაკალინს (სსრ კავშირი), ნახევარმცველ ტიმო სერენიუსს (ფინეთი), თავდამსხმელ სერგეი ლომანოვს (სსრ კავშირი).

## გაბრიჩიძე — მოსკოვის ვიცე-ჩემპიონი

მოსკოვის ჩოგბურთელთა ღია პირად პირველობაში, ტრადიციულად, სხვა ქალაქების სპორტსმენებიც გამოდიან. წლევანდელ ტურნირში მონაწილეობა მიიღო 160-მდე ჩოგბურთელმა.

ვაჟთა ფინალში ერთმანეთს შეხვდა ორი არამოსკოველი — რიგელი გ. ძელდე და თბილისელი ვ. გაბრიჩიძე. პირველი პარტია ძელდემ შედარებით იოლად მოიგო (6:2), მეორეში კი მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება მაინც რიგელ ჩოგბურთელს დარჩა — 7:6. ძელდემ მოსკოვის ჩემპიონის სახელი მოიპოვა.

ქალთა ტურნირის ფინალი წმინდა მოსკოვური იყო: თამაშობდნენ ე. მანიუკოვა და ე. პოგორელოვა. გამარჯვება შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ მანიუკოვას დარჩა — 7:6, 6:7, 5:4.

ვაჟთა წყვილებში პირველი ადგილი ს. ფილიმონოვმა (რიგა) და ა. ჩერნეცკიმ (სიმფეროპოლი) დაიკავეს, ქალთა შორის გამარჯვება მანიუკოვა-პოგორელოვას დუეტს დარჩა.



დღეს თბილისის იპოდრომის დახურულ მანეჟში იწყება საქართველოს პროფკავშირული სპორტული საზოგადოების ჭაბუკ ცხენოსანთა რესპუბლიკური პირადი პირველობა, რომელშიაც 1970-72 წლებში დაბადებული მხედრები მონაწილეობენ. პროგრამაშია დაბრკოლებათა გადალახვა, ცხენის გაწვრთნის უმაღლესი კლასი და ორჭიდი.
ეს ასპარეზობა ჭაბუკთა მეორე საკავშირო თამაშებისათვის ჩვენი სპორტსმენების მზადების გეგმაში შედის.
დასაწყისი 16 საათზე.

## შეიქმნა ინვალიდებისთვის

ბევრი ინვალიდი საზოგადოების ისეთივე აქტიური წევრია, როგორც ფიზიკურად სრულყოფილი ადამიანი. ინვალიდი, ყრუ-მუნჯი, უსინათლო თუ ხეიბარი, დიდი წარმატებით მოღვაწეობს მეცნიერებისა თუ ტექნიკის, პოლიტიკისა თუ სპორტის სფეროში.

**ინვალიდები** სპორტშიც თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ.

დიდი ინგლისელი პოეტი ბაირონი, მართალია, კოჭლი იყო, მაგრამ იგი ჩინებული მოცურავეც გახლდათ. ფიზიკურ ნაკლს მისთვის ხელი არ შეუშლია დარდანელის სრუტე გადაეცურა.

გავიხსენოთ მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი, ასევე კოჭლი ბრაზილიელი გარინჩა.

ახალზელანდიელი მიურეი ჰალბერგი ცალხელა იყო, მაგრამ რომის ოლიმპიურ თამაშებზე, 1960 წელს, ყველას აჯობა 5000 მეტრზე რბენაში.

ასეთი მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

სხვადასხვა სახის ინვალიდებისთვის შეჯიბრებები ცალკეც იმართება. ტარდება როგორც საკავშირო ჩემპიონატები, ისე საერთაშორისო ასპარეზობები, მათ შორის მსოფლიო ჩემპიონატები, ოლიმპიური თამაშები...

ინვალიდების ფიზიკური და სულიერი აღზრდისთვის ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება. ინვალიდებთან მუშაობაში პარტიისა და მთავრობის, საკავშირო და რესპუბლიკური სპორტსახკომების გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გასატარებლად გასულ კვირას ინვალიდებისთვის შეიქმნა რესპუბლიკური ფედერაცია. თავმჯდომარედ აირჩიეს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ნინო უზნაძე, მოადგილეებად — საქართველოს სპორტსახკომის, სოცუზრუნველყოფის, განათლების სამინისტროს პასუხისმგებელი ხელმძღვანელი მუშაკები.

ფედერაცია მოწოდებულია ინვალიდებსა და საერთოდ ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანთა შორის ყოველმხრივ დანერგოს და განავითაროს ფიზიკური კულტურა და სპორტი. ხელი შეუწყოს მათ გაჯანსაღებას, აქტიურ დასვენებას...

ფედერაცია დაეხმარება ადგილობრივ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ კლუბებს, საწარმოებსა და დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, სახლმმართველობებს, დასასვენებელ სახლებს ინვალიდთა ფიზიკური მომზადების საქმიანობის გაუმჯობესებაში. რესპუბლიკური ფედერაცია ადგილობრივ ფედერაციებს დაეხმარება შეჯიბრებების ჩატარებასა და სხვა საქმიანობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პროფკავშირული სპორტული საზოგადოების I ყრილობის დელეგატი

# საქმით განმტკიცებული სიყვარული

(დასასრული)



ჯანმრთელობის აღდგენითი ცენტრის სატრენაჟორო დარბაზი.

გამოვყოფთ 2 მილიონ მანეთს. სხვათა შორის, ეს ციფრი შეიძლება შეიცვალოს — იმდენი რამ გვაქვს ჩაფიქრებული, რომ მიზნის მიღწევას გაცილებით მეტი თანხა დასჭირდება.

**● ზუგდიდში დიდი პოპულარობით სარგებლობს დიაგნოსტიკისა და აღდგენითი მკურნალობის ამბულატორიული ცენტრი. იგი თქვენი ინიციატივით აშენდა. რას გვეტყვით ამ ცენტრის მუშაობაზე?**

— ჯანმრთელობის აღდგენის ცენტრები ჩვენს ქვეყანაში დღესდღეობით თითებზე ჩამოსათვლელია. ცენტრის აშენება 2 მილიონი მანეთი დაგვიჯდა. მარტო უცხოური აპარატურის შესაძენად დავხარჯეთ 700 ათასი მანეთი. ეს აპარატურა ჯანმრთელობის სამინისტრომ გამოგვიყო. დღეს აქ მკურნალობენ გულით, რევმატიზმით, რადიკულიტით, მარილებითა და წნევით დაავადებული ადამიანები. მათ განკარგულებაშია დიდი სატრენაჟორო დარბაზი, რომელიც უცხოური აპარატურით არის აღჭურვილი, მოწყობილია საუნები, აბანოები, ლაბორატორიები, რენტგენისა და ფუნქციონალური კაბინეტები, ფიზიოთერაპიის განყოფილება. ვისაც სიმსუქნე აწუხებს და წონის დაკლება სურს, მათ სპეციალური მეთოდით მკურნალობენ. აღდგენითი ცენტრი სამეურნეო ანგარიშზეა, მაგრამ ჩვენი მუშებისთვის უფასოა. აქ ყოველდღიურად 300-350 კაცი გადის შემოწმებას. ჯერჯერობით ცენტრი სრულად არ არის დატვირთული, იგი ხომ გასული წლის სექტემბერში გაიხსნა. 13 საშტატო ერთეული დაგვიმტკიცეს და ჯერ მხოლოდ 4 ექიმი მუშაობს. ცხადია, ექიმების რიცხვი უნდა გაიზარდოს. გადავწყვიტეთ კიდევ შევიძინოთ რამდენიმე სახის სამედიცინო აპარატურა. თქვენ მკითხეთ, კმაყოფილი ვარ თუ არა ცენტრის მუშაობით. გიპასუხებთ — არა, და აი რატომ: მართალია, ჯანმრთელობის აღდგენითი ცენტრი ნორმალურად მუშაობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა მშრომელს როდი შეუგნია მისი სიკეთე. ბევრი დროის უქმარობას იმიზეზებს, მაგრამ მერწმუნეთ, ასეთებმა დროის ყაირათიანად გამოყენება არ იციან. არადა, მედლეხვალიობაში დრო იკარგება. ჯანმრთელობა უარესდება. ჩვენმა ექიმებმა ბევრ მოზარდს აღმოუჩინეს გამრუდებული ხერხემალი და კიდურები. დროულმა და სწორმა მკურნალობამ სასურველი შედეგი გამოიღო — დღეს ისინი ფიზიკურად უნაკლონი არიან.

**● ჯანმრთელობის აღდგენითი ცენტრი სამედიცინო დაწესებულებაა. სპორტული ბაზების მშენებლობის მხრივაც ურიგოდ არ გაქვთ საქმე. დღესდღეობით რა კეთდება ამ მიმართულებით?**

— ჩვენს საწარმოში თითქმის გადაიჭრა საბინაო პრობლემები, ამიტომ ახლა სპორტული ბაზების მშენებლობას დიდ ყურადღებას ვუთმობთ. ვამთავრებთ სამსართულიანი სპორტული კომპლექსის მშენებლობას, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 890 ათასი მანეთია. კომპლექსს ექნება დიდი საცურაო აუზი, საჭყუმპალაო, ტრიბუნები 250 მაყურებლისთვის, სპორტთამაშების დარბაზი, აგრეთვე ჭიდაობის, კრივის, ძალოსნობის დარბაზები, გასახდელები, საშხაპეები. ვიზრუნეთ კომპლექსის გარეგნულ იერზეც — მოზაიკის სამუშაოები თბილისის სამხატვრო კომბინატმა შეასრულა. გარდა ამისა, წელს დავიწყებთ და გაისად დავამთავრებთ სტადიონის რეკონსტრუქციას, იგი 12 ათას მაყურებელს დაიტევს. ტრიბუნები გადახურული იქნება. აქვე იქნება ღია საცურაო აუზი, კორტები. ვაპირებთ საჭადრაკო კლუბის აშენებასაც. იკითხავთ, ამდენ სამუშაოს როგორ გაწვდებითო. ჩვენ ჩვენი სამშენებლო სამმართველო გვაქვს, რომელიც ყოველწლიურად 7 მილიონი მანეთის სამუშაოს ასრულებს. სპორტული ბაზების მშენებლობა მარტო ამით არ ამოიწურება. საცხოვრებელ სახლებთან ვაწყობთ ბავშვთა სათამაშო მოედნებს. ანაკლიაში ვაშენებთ 300 ადგილიან საოჯახო პანსიონატს. აქაც კარგი მოედნები მოეწყობა.





მარცხნივ — ჯანმრთელობის აღდგენითი ცენტრის შენობის გარე ხედი, მარჯვნივ — სპორტული კომპლექსის მაკეტი.

**● საქალაქო კონფერენციაზე თქვენ პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური ყრილობის დელეგატად აგირჩიეს. რას ისურვებდით როგორც ახლადშექმნილი პროფკავშირული ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების ყრილობის დელეგატი.**

— სურვილები დიდი მაქვს. პირველ ყოვლისა, მინდა აღარ განმეორდეს წინანდელი შეცდომები. აღმოიფხვრას ფორმალიზმი და ქაღალდომანია, სიტყვებს კონკრეტული საქმეები მოჰყვეს. აუცილებელია კადრების გადახალისება. ჩვენი მეთოდისტები და მწვრთნელები ხშირად ვალის მოხდის მიზნით მუშაობენ. აკლიათ პრინციპულობა. მონდომება, რაც მთავარია, საქმის სიყვარული. ვიცი, მათ დახმარებაც სჭირდება, მაგრამ თავადაც უნდა იაქტიურონ — მონდომებული, ენერგიული სპეციალისტი ყოველთვის იპოვის მხარდამჭერას. ერთი სიტყვით, პროფკავშირული სპორტული საზოგადოებების გაერთიანებით ახალ საქმეებსა და სასიკეთო ძვრებს ველით. არ შეიძლება ასეთ საზოგადოებას თავისი სახელი არ ჰქონდეს. ძალიან მომეწონა ჰაბუა ამირეჯიბის წინადადება — „შევარდენი“ მართლაც კარგი სახელია. რა გამოგვილევს ლამაზ და ფრთიან სიტყვებს, მაგრამ, მე მგონი, სწორედ ეს სახელი მოუხდებოდა ამ სპორტულ საზოგადოებას.

ესაუბრა ნუგზარ ქვანია.

---

## ქალაქის პირველობებს ჯეროვანი ყურადღება

ეს მართლაც დიდი და სასარგებლო საქმე იყო: თბილისის პირველობის ჩატარება თავისუფალ ჭიდაობაში ჩვენთვის ყველაზე უფრო „დეფიციტურ“ წონებში. შეჯიბრების მიზანიც სწორედ ის გახლდათ, რომ ერთგვარად მაინც გამოცოცხლდეს მუშაობა იქ, სადაც ყველაზე მეტად გვიჭირს.

ქალაქის სპორტკომიტეტის ინიციატივა ამ მხრივ მისასალმებელია. ოღონდ მსგავსი ტურნირების მნიშვნელობა ყველა ორგანიზაციამ ერთნაირად სწორად უნდა გაიგოს და შეაფასოს. რა დასამალია, ზოგიერთი საზოგადოება, უწყება თბილისის პირველობას ზერელედ, სასხვათაშორისოდ უყურებს, არ თვლის ყურადღების ღირსად. არადა, რესპუბლიკის სპორტული ცხოვრების მთელი სიმძიმე სწორედ ქალაქის სპორტზე, მის ავ-კარგზე გადადის. ერთი სიტყვით, საქალაქო პირველობებს ისევ სპორტსმენებმა, მწვრთნელებმა, სპორტულმა ორგანიზაციებმა უნდა აუწიონ ავტორიტეტი.

ამ მხრივ ტურნირი, რომელიც ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლის ჭიდაობის სასახლეში ჩატარდა, სამაგალითოც იყო და ყურადსაღებიც. ქალაქის პირველობაში მონაწილეობა მიიღო 1966-1970 წლებში დაბადებულმა ხუთი წონითი კატეგორიის (სწორედ ეს წონებია თავისუფალ ჭიდაობაში ჩვენთვის დეფიციტური) სამოცმა ათლეტმა. სამოცი მოჭიდავე დეფიციტურ წონებში — დაგვეთანხმებით გარკვეულ პერსპექტივას ნიშნავს. მით უფრო, რომ ტურნირი საინტერესოდაც ჩატარდა.

პირველი ადგილები შეჯიბრებაში დაიკავეს „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენლებმა დავით სირაძემ (48 კგ), მიხეილ ქოჩიაშვილმა (52 კგ), დინამოელმა გელა ფოჩხუამ (57 კგ), „შრომითი რეზერვების“ წევრმა კახა გეგუჩაძემ (62 კგ) და პროფკავშირების სპორტსაზოგადოების წარმომადგენელმა კახა მაჭარაშვილმა (60 კგ).

---

ქუთაისის ტრადიციული საკავშირო ტურნირი ბადმინტონში

## ვინ იცის, იქნებ...

**ვოლანის** ოსტატები სულ უფრო მეტ შეჯიბრებაში, საერთაშორისო თუ საკავშირო ტურნირებში მონაწილეობენ. ასეთი აღიარება ხელს უწყობს ჩვენში ბადმინტონის განვითარებას. ასეა ქუთაისშიც, სადაც 1984 წელს შეიქმნა ბადმინტონის საქალაქო ფედერაცია (თავმჯდომარე ა. ნაცვლიშვილი), დამტკიცდა სპორტის ამ სახეობის განვითარების პერსპექტიული გეგმა-გრაფიკი. შედეგმაც არ დააყოვნა — რიონისპირელი სპორტსმენები თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ ბადმინტონის საკავშირო ფედერაციამ თავის კალენდარში შეიტანა ქუთაისის საკავშირო ტურნირი და იგი ერთ-ერთ პრესტიჟულ შეჯიბრებად ითვლება — აქ ბევრი ნიჭიერი, პერსპექტიული სპორტსმენი ასპარეზობს. ასე იყო წელსაც — ქუთაისში, განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტთამაშების სკოლაში ზედიზედ მეოთხედ ჩატარდა საკავშირო ტურნირი (ორ ასაკობრივ ჯგუფში) საქალაქო სპორტკომიტეტისა და მოტობლოკების ქარხნის დიდ პრიზზე.

მასში მონაწილეობა მიიღო თბილისის (ორი გუნდი), ბაქოს, ერევნის, სვერდლოვსკის, ბათუმის (ორი გუნდი), კამიშლოვის, ყარაგანდის, გროზნოს, კრასნოდარის, კრასნოიარსკის, ლენინაკანის, ქუთაისის და სხვა ქალაქების გუნდების ორასმა წარმომადგენელმა.

ამ შეჯიბრებაში ტრადიციულად კარგად იასპარეზა მასპინძელთა გუნდმა (მწვრთნელები ოთარ აბზიანიძე, მზია ლებანიძე), რომლის ღირსებას იცავდნენ: ზაზა წულაძე, ზაზა ბაჩილავა, კობა დათიაშვილი, გოგი ხაზარაძე, პაატა კირკიტაძე, ელისო სოფრომაძე, ფატი შალამბერიძე, ნანა ღვინჯილია, ეკა და სოფიკო სალდაძეები, რუსიკო ნიკოლეიშვილი, ნათია გობრონიძე, მამუკა ძოძუაშვილი, მიხეილ მამაგეიშვილი, ირაკლი ნიკოლეიშვილი, აკაკი კაპატაძე და სერგო ბუცხრიკიძე. სწორედ მათ მოუპოვეს ქუთაისელებს პირველი ადგილი და მთავარი პრიზი. მეორე ადგილზე ყარაგანდის, ხოლო მესამეზე ბათუმის კოლექტივები გავიდნენ.

**უფროსი ასაკი. გოგონები:** 1. რ. არამიანცი (ბათუმი), 2. მ. პანჩენკო (ყარაგანდა), 3. ე. სტეგალოვა (ბათუმი). **ვაჟები.** 1. ზ. წულაძე, 2. ზ. ბაჩილავა (ორივე — ქუთაისი). 3. ე. ვართანოვი (თბილისი). **ვაჟთა წყვილები:** 1. ზ. წულაძე, გ. ხაზარაძე, 2. ა. კუტეპოვი, ა. ხაჩატურიანი (ბათუმი), 3. კ. დათიაშვილი, ზ. ბაჩილავა. **გოგონათა წყვილები:** 1. ე. სტეგალოვა, გ. განელიძე (ბათუმი), 2. კამელოვა, მ. პანჩენკო (ყარაგანდა), 3. ფ. შალამბერიძე, ე. სოფრომაძე (ქუთაისი). **შერეული წყვილები:** 1. გ. ევსეევი, მ. პანჩენკო (ყარაგანდა), 2. ე. ვართანოვი (თბილისი), ო. სენცოვა (კამიშლოვი), 3. ა. ხაჩატურიანი, რ. არამიანცი (ბათუმი).

**უმცროსი ასაკი. გოგონები:** 1. ს. ვაგინა (კამიშლოვი), 2. ლ. ლიტიაევა (კრასნოდარი), 3. ი. ხურციძე (ქუთაისი). **ვაჟები:** 1. ე. უმრიანი, 2. ვ. სირუნიანი (ორივე — თბილისი), 3. ს. ვოლკოვი (კრასნოდარი). **გოგონათა წყვილები:** 1. ს. ვაგინა (კამიშლოვი), ლ. ლიტიაევა (კრასნოდარი), 2. მ. კახიანი, ი. ხურციძე (ქუთაისი), 3. ე. მკრტიჩიანი (ერევანი), გ. ჩახოიანი (თბილისი). **ვაჟთა წყვილები:** 1. ბ. სირუნიანი, ე. უმრიანი (თბილისი), 2. ა. ბედნიკოვი (კამიშლოვი), ს. ვოლკოვი (კრასნოდარი). 3. ვ. გოლვიკოვი, ვ. ტრუფანოვი (კრასნოიარსკი). **შერეული წყვილები:** 1. ს. ვაგინა, ბ. სირუნიანი, 2. ე. უმრიანი, ს. მკრტიჩიანი, 3. ი. ხურციძე, მ. ძოძუაშვილი.

სპეციალური პრიზები გადაეცათ თბილისელ გ. ჩახოიანს და ქუთაისელ ზ. წულაძეს.

როცა დადგება ახალი, ოლიმპიური 1992 წელი, ბადმინტონისტები ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზებენ. ქუთაისის ტურნირის მონაწილეებს კი სწორედ ამ პერიოდში მოუწევთ დიდ არენაზე გასვლა და ვინ იცის, იქნებ დღევანდელმა ნორჩმა სპორტსმენებმა ხვალ ოლიმპიადაზე იასპარეზონ.

**თამაზ კოლხიდელი.**
**(„ლელოს“ საკუთარი კორ.).**
ქუთაისი.

**ს უ რ ა თ ზ ე: მთავარი პრიზის მფლობელი—ქუთაისელ ბადმინტონისტთა გუნდი.**



---

## პასუხი წერილებზე, რომლებიც არ გამოქვეყნებულა

თქვენ მიერ გადმოგზავნილი წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ უკვე გავატარეთ ღონისძიებები ქ. ზესტაფონში წულუკიძის ქუჩის № 3-4-7-19 რკინიგზის ბინებთან სპორტული მოედნის მოწყობისათვის. ამიერკავკასიის რკინიგზის № 8 სახლმმართველობამ სპორტული მუშაობისთვის ჩარიცხა 2660 მანეთი. ამ თანხით შეძენილია აგრეთვე სპორტული მოედნის შემოღობვისათვის საჭირო რაოდენობის მავთულის ბადე. მოედნის კეთილმოწყობის სამუშაოები მალე დამთავრდება.

გ. უბრეხელიძე,
საქართველოს ალკკ ზესტაფონის რაიკომის მდივანი.

• • •

„ლელოს“ რედაქციაში შემოსული სოფელ თორსის ახალგაზრდების წერილის შესახებ ხობის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი გაცნობებთ, რომ წერილში აღნიშნული ფაქტი ადგილზე შევისწავლეთ, რომელიც ნაწილობრივ სწორი გამოდგა. სოფელი თორსა დიდ ტერიტორიას მოიცავს და სხვადასხვა უბნებად არის დაყოფილი. სოფელში აქვთ მარტივი ტიპის 3 ფეხბურთის, 1 კალათბურთის მოედანი. ამათგან ერთი საფეხბურთო მოედანი მოუწყობელი იყო. ამჟამად ამ მოედნის კეთილმოწყობის საკითხი გვარდება, ტერიტორია მოსწორდა, გაუკეთდა დრენაჟი, მიმდინარეობს ტერიტორიის შემოკავება, გაზაფხულზე დაითესება ბალახი. გამოყოფილია 1000 მანეთი სპორტული ინვენტარისა და ფორმის შესაძენად.

ლ. ბუკია,
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.



სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# მატჩის მოგებაც შეიძლებოდა

**კაუნასი.** უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალურ ტურში მორიგი შეხვედრები გაიმართა.

თბილისის „დინამო“ ამ დღეს ტურის მასპინძელს ადგილობრივ „ჟალგირისს“ ხვდებოდა. დასაწყისში ერთგვარ უპირატესობას მასპინძლებმა მიაღწიეს, მაგრამ შემდგომში თამაში გათანაბრდა. პირველი ტაიმის ბოლო წუთები „ჟალგირისის“ აქტიურობით აღინიშნა, რომელმაც მოიგო კიდეც ტაიმი 8 ქულის უპირატესობით — 59:51.

ბრძოლა შესვენების შემდეგაც უაღრესად დაძაბული იყო და ცხადი გახდა, რომ გამარჯვებული სადღაც მატჩის მიწურულს უნდა გამოვლენილიყო. „ჟალგირისმა“ ვერ იქნა და გადამწყვეტი უპირატესობა ვერ მოიპოვა. მეტსაც ვიტყვით, 35-ე წუთზე „დინამომ“ სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა—89:85. 38-ე წუთზე კოლიჩევის ზუსტი სროლის შემდეგ ანგარიში გახდა 95:93. 2 ქულიანი სხვაობა აღინიშნა მატჩის ბოლო წუთზეც — 97:95, თბილისელებს სჭირდებოდათ ერთი ზუსტი სამქულიანი სროლა, ერთი-ორჯერ ბედი დარსაძემ და კაპუსტინმა სცადეს, მაგრამ ნერვული დაძაბულობა ამ დროისთვის იმდენად დიდი იყო, რომ ორივე ნასროლი მიზანს აცდა.

„ჟალგირისმა“ ეს ძნელი და მომქანცველი ბრძოლა მაინც თავის სასარგებლოდ დაამთავრა — 101:96.

გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა ცსკა-მ დონეცკის „შახტიორთან“ ყველა პრობლემა პირველსავე ტაიმში გადაწყვიტა — 19 ქულიანი სხვაობა (51:32) ფაქტიურად გამარჯვებას ნიშნავდა. „შახტიორი“ მეორე ტაიმში შერიგებული იყო ბედს, ამიტომ მატჩის ეს მონაკვეთი შედარებით მშვიდად ჩატარდა. ცსკა-მ მორიგი ორი ქულა აიღო — 94:77.

მოსკოვის „დინამო“ საკმაოდ ჯიუტად და რაც მთავარია, წარმატებით მიიწევს წინ. მას, როგორც ჩანს, გადაწყვეტილი აქვს მესამე ადგილის პრეტენდენტთა მონაწილე გახდეს. ყოველ შემთხვევაში ამ ტურში მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტთან გამარჯვებით — 87:78 (38:32) მან ერთბაშად „ორი კურდღელი მოკლა“. უკან ჩამოიტოვა რტი-ც და დონეცკის „შახტიორიც“.

მაგრამ მესამე საპრიზო ადგილისთვის ბრძოლის ყველაზე რეალურ შანსებს, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, კიევის „სტროიტელის“ კალათბურთელები ინარჩუნებენ. ეს შანსები მათ უფრო გაზარდეს რიგის ვეფ-თან გამარჯვების შემდეგ — 96:80 (51:38).

გუშინ ტურნირზე დასვენების დღე იყო.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 10 თებერვლისთვის**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 27 | 26 | 1 | 2562-2099 | 53 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 27 | 20 | 7 | 2478-2244 | 47 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 27 | 16 | 11 | 2289-2259 | 43 |
| „დინამო“ (თბილისი) | 27 | 14 | 13 | 2348-2521 | 41 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 27 | 13 | 14 | 2414-2330 | 40 |
| რტი (მინსკი) | 27 | 12 | 15 | 2124-2159 | 39 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 27 | 12 | 15 | 2146-2262 | 39 |
| ვეფ (რიგა) | 27 | 11 | 16 | 2362-2496 | 38 |



იუნიორ მოფარიკავეთა საკავშირო პირველობა

# ყველაფერი თავიდან?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩვენმა** სპორტსმენებმა იუნიორ მოფარიკავეთა საკავშირო პირველობაზე, რომელიც თბილისში მიმდინარეობდა, გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს წინა ანალოგიურ შეჯიბრებასთან შედარებით. მაგრამ მაინც, საქმე ისაა, რომ არც ახლანდელი და, მით უმეტეს, არც გასული პირველობის შედეგები არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. შარშან საქართველოს გუნდიდან ყველაზე უკეთესი შედეგი ოლეგ ჩერნიშოვს ჰქონდა, რომელმაც მე-5 ადგილი დაიკავა. კიდევ ერთი სპორტსმენი — ზურაბ იოსებიძე — ფინალში გავიდა. ეს არის და ეს. თუმცა ახლა უკვე ჩემპიონიც გვყავს (ჩერნიშოვი), მაგრამ ნათქვამია, ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო...

ყველაზე სუსტად ჩვენი სპორტსმენები დაშნით ფარიკაობაში გამოვიდნენ: რვამ უკვე პირველივე ეტაპზე შეწყვიტა ბრძოლა. მეორე

იხ. მე-4 გვ.

სსრ კავშირის ჩემპიონატი სათხილამურო ორჭიდში

# ოლიმპიელთა უკანასკნელი სტარტები

**ბაკურიანში** გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატი სათხილამურო ორჭიდში, რომელსაც უნდა გამოერკვია კალგარის ოლიმპიადის მონაწილე უძლიერესი ხუთეული. 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ყველაზე უკეთესი შედეგი აჩვენა იუნიორებში მსოფლიოს ჩემპიონმა 24 წლის მოსკოველმა ანდრეი დუნდუკოვმა — 225,0 ქულა (ნახტომები 85,0 და 85,5 მეტრი). მეორე შედეგი ჰქონდა პერმელ სერგეი ჩერვიაკოვს — 219,9 (88,0 და 82,5), მესამე ნიჟნიტაგილელ სერგეი გონდარს — 216,8 ქულა (86,5 და 82,5). სამივე სპორტსმენი არმიის კლუბის წევრია.

ა. დუნდუკოვმა რბოლაში დისტანცია 49 წუთსა და 44 წამში გაიარა და ორჭიდის ჯამში 417,55 ქულით მესამედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის საპატიო ტიტული. მეორე ადგილზეა (რბოლა — 49.27) ს. ჩერვიაკოვი — 415,0 ქულა, მესამეზე — რბოლაში გამარჯვებული (46.41) მოსკოველი არმიელი ვასილ სავინი (410,3 ქულა), რომელიც ტრამპლინზე მხოლოდ მეათე იყო.

ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში შევიდნენ: ანდრეი დუნდუკოვი, სერგეი ჩერვიაკოვი, ვასილ სავინი, სერგეი ნიკიფოროვი და ალლარ ლევანდი.

**სოფიკო ხეთაგაშვილი,**
**„ლელოს“ კორ. (ტელეფონით).**
ბაკურიანი.

სიახლეა!

## მაგიდის ჩოგბურთის მასობრიობისთვის

**რესპუბლიკის სპორტსახკომის თაოსნობით, მაგიდის ჩოგბურთელთა საქართველოს პირველობა ამიერიდან 5 ტურად ჩატარდება და მონაწილე გუნდები სამ ლიგად დაიყოფიან.**

მეორე და მესამე ლიგაში გამარჯვებული გუნდები, რომელთა ვინაობაც მიმდინარე წლის ბოლოს გამოირკვევა, გაისად პირველ და მეორე ლიგაში ბოლო ადგილებზე გამოსულთა ადგილებს დაიკავებენ. ხოლო მეორე ადგილზე გამოსული კოლექტივები „გადასასვლელ“ შეხვედრებს გამართავენ ზედა ლიგებში ბოლოსწინა ადგილზე გამოსულ გუნდებთან.

თუ გასული წლის დებულებით შეჯიბრებაში 8 გუნდს უნდა მიეღო მონაწილეობა, ახალი დებულებით მათი რაოდენობა 15 შეადგენს და ახლო მომავალში ალბათ 18-მდე გაიზრდება. ამასთან, შეზღუდულია მონაწილეთა ასაკიც.

შეჯიბრების პირველ ეტაპზე მეორე ლიგის გუნდებს ბოლნისმა უმასპინძლა. ბოლნისელთა გარდა ასპარეზობაში ჩაებნენ თბილისის II, აბაშის, თელავისა და ბორჯომის ნაკრები გუნდები. თითოეულ მათგანში 4 ქალი და ამდენივე ვაჟი. შეჯიბრების დაწყებისთანავე ნათელი გახდა, რომ პირველობას თბილისის II და ბოლნისის გუნდები შეეცილებოდნენ ერთმანეთს. დანარჩენები მათ საკმაოდ ჩამორჩებოდნენ ოსტატობით.

თბილისის II და ბოლნისის გუნდების შეხვედრაში გამარჯვებას თბილისელებმა მიაღწიეს — 10:6. ასე რომ, შეჯიბრების ამ ეტაპზე პირველი ადგილი თბილისის II გუნდმა დაიკავა, მეორე ადგილზე ბოლნისელები გავიდნენ, ხოლო მესამეზე — თელაველები.

**გიორგი გოლაშვილი,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**



# მძაფრი ბრძოლები

**ბაქოსა და ლვოვში დამთავრდა უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა 44-ე საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტური.**

სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

**ბაქო.** როგორც ვიუწყებოდით, გათამაშების მეორე დღეს თბილისის დინამოელებმა კიეველი თანაკლუბელები დაამარცხეს —8:6 (2:1, 4:1, 1:2, 1:2). ამ ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: ცსკ ვმფ — უნივერსიტეტი (მოსკოვი) 7:6 (1:2, 4:0, 0:2, 2:2), კკფ (ბაქო) — „მოსკვიჩი“ 8:7 (2:0, 2:1, 2:3, 2:3).

ტურის ბოლო მატჩი თბილისის „დინამოს“ გათამაშების ლიდერთან ცსკ ვმფ-სთან ჰქონდა. თბილისელებმა სუსტად ჩაატარეს პირველი და მეოთხე პერიოდები. სწორედ აქ გაშვებულმა შვიდმა გოლმა გადაწყვიტა შეხვედრის ბედი სამხედრო მეზღვაურთა სასარგებლოდ — 9:5 (3:0, 0:2, 2:2, 4:1).

ადგილობრივი გულშემატკივრები კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდისგან გაცილებით მეტს მოელოდნენ. ყოველ შემთხვევაში დარწმუნებული იყვნენ, რომ მათი გუნდი მოსკოვის უნივერსიტეტს უფრო მძაფრ წინააღმდეგობას გაუწევდა. მაგრამ მათი ვარაუდი არ გამართლდა. სტუდენტმა წყალბურთელებმა გაიმარჯვეს — 9:5.

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკ ვმფ | 8 | 7 | 1 | 0 | 71-56 | 15 |
| უნივ. (მოსკ.) | 8 | 4 | 2 | 2 | 59-54 | 10 |
| „დინ.“ (თბ.) | 8 | 3 | 3 | 2 | 59-61 | 9 |
| „დინ.“ (კიევი) | 8 | 3 | 1 | 4 | 60-62 | 7 |
| კკფ (ბაქო) | 8 | 2 | 3 | 3 | 68-74 | 7 |
| „მოსკვიჩი“ | 8 | 1 | 1 | 6 | 46-59 | 3 |

**ლვოვი.** ორი შეხვედრა სამიდან ამ ჯგუფში დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. მოსკოვის „დინამომ“ ალმა-ათის თანაკლუბელები ორი ბურთის სხვაობით დაამარცხა — 13:11 (4:2, 3:3, 4:3, 2:3).

ხარკოვის „ლოკომოტივისა“ და შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტილიის (სევასტოპოლი) გუნდების შეხვედრაში ყველაფერი ერთმა ბურთმა გადაწყვიტა. რკინიგზელებმა გაიმარჯვეს — 7:6 (2:2, 3:1, 1:2, 1:1).

შედარებით უინტერესო იყო ლვოვის „დინამოსა“ და მინსკის არმიელთა თამაში. უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა — მინსკის გუნდმა ვერაფერი გააწყო ძლიერ მეტოქესთან, რომელიც ამავე დროს შინ თამაშობდა და დამარცხდა — 2:12 (0:4, 1:3, 0:3, 1:2).

**გათამაშების ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ“. (მოსკ.) | 8 | 7 | 1 | 0 | 85-54 | 15 |
| „დინ.“ (ლვოვი) | 8 | 4 | 3 | 1 | 73-57 | 11 |
| „დინ.“ (ა-ათა) | 8 | 5 | 0 | 3 | 79-65 | 10 |
| „ლოკ.“ (ხარკ.) | 8 | 2 | 2 | 4 | 56-62 | 6 |
| კჩფ (სევასტ.) | 8 | 1 | 1 | 6 | 56-68 | 3 |
| ასკ (მინსკი) | 8 | 0 | 0 | 8 | 54-91 | 0 |

# ლიდერები გამოვლინდნენ და აუტსაიდერები

დასასრული

უპირატესობა დაკარგა, არამედ უპაიკოდაც დარჩა. პარტია გადაიდო, მატერიალური და პოზიციური უპირატესობა ახლა უკვე ახმილოვსკაიას მხარეზეა.

ქეთევან არახამიასა და მარტა ლიტინსკაიას პარტიაში ნიმცოვიჩის დაცვის ერთ-ერთი აქტუალური ვარიანტი გათამაშდა.

არახამია კარგა ხანს უტევდა მეტოქეს, მაგრამ ძლიერ გაგრძელებას ვერ მიაგნო. ცენტრში გამოსული შავი მეფე საკმაოდ უსაფრთხოდ გრძნობდა თავს. ამ პარტიის ლოგიკური შედეგი ალბათ ყაიმი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არახამიას თავისი ძველი „მტერი“ — ცაიტნოტი წამოეპარა. ქართველ მოჭადრაკეს მძიმე შეცდომა მოუვიდა — წააგო ფიგურა და წინააღმდეგობა შეწყვიტა.

აგნეშკა ბრუსტმანისა და ნონა გაფრინდაშვილის პარტიაში მსოფლიოს ექსჩემპიონმა კარო-კანის დაცვის ერთ-ერთ იშვიათ ვარიანტს მიმართა, რომელიც მას კარგად აქვს შესწავლილი. გაფრინდაშვილის უპირატესობა თანდათან იზრდებოდა, მან გრძელი როქი გააკეთა და მეთოდურად დაიწყო შეტევა თეთრ მეფეზე. ხარისხის სწორი შეწირვის შემდეგ გაფრინდაშვილის პოზიცია უკეთესი გახდა, მაგრამ მოულოდნელად მან უხეში შეცდომა დაუშვა, შავების ლაზიერი „ტყვედ ჩავარდა“ დაფის ცენტრში და ფაქტიურად პარტია უკვე წაგებული იყო. გაფრინდაშვილმა გამარჯვება მიულოცა მეტოქეს.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ირინა ლევიტინასა და ნანა იოსელიანის პარტიასაც. ლევიტინას მცირე პოზიციური უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ მას მეტოქის მიმართ სერიოზული პრობლემები არ დაუყენებია. ფიგურების მრავალგზის გაცვლის შემდეგ თამაში ეტლების თანაბარ ენდშპილში გადავიდა და მეტოქენი მალე დაზავდნენ.

ამრიგად, 9 ტურის შემდეგ 6,5 ქულით წინ კვლავ მარტა ლიტინსკაიაა. შემდეგ მოდიან ირინა ლევიტინა — 5,5, ელენა ახმილოვსკაია — 5 (2), ნანა იოსელიანი — 5, ნანა ალექსანდრია — 4 (1), აგნეშკა ბრუსტმანი — 4, ქეთევან არახამია — 2 (1), ნონა გაფრინდაშვილი — 2.

**„ლელოს“ კორ.**
**ტელეფონით.**

* * *

**გუშინ გადადებული პარტიების დამთავრებისას ახმილოვსკაია — არახამიას შეხვედრა დამთავრდა ყაიმით. ალექსანდრია — ახმილოვსკაიას პარტია არ განახლებულა.**

## ასე დაწყვილდნენ

**კანადის ქალაქ სენტ-ჯონსში დასრულდა პრეტენდენტ ვაჟთა დამატებითი მატჩი ჭადრაკში.**

როგორც იცით, ანდრეი სოკოლოვისა და ინგლისელ კევინ სპრაგეტის დამატებითი მატჩის ორივე პარტია ყაიმით დამთავრდა და დაინიშნა ბლიც-ტურნირი პირველ მოგებაზე.

პირველივე პარტიაში, რომლისთვისაც განკუთვნილი იყო ერთი საათი, ინგლისელმა დიდოსტატმა გაიმარჯვა და მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა.

შედგა წილისყრა, რის შემდეგაც მეტოქეები ასე დაწყვილდნენ: ანატოლი კარპოვი — იოჰან კრისტიანსენი (ისლანდია), ნაიჯელ შორტი — ჯონათან სპილმენი (ორივე — ინგლისი), იან ტიმანი (ჰოლანდია) — ლაიოშ პორტიში (უნგრეთი), კევინ სპრაგეტი (კანადა) — არტურ იუსუპოვი.

## საგზურები გაინაწილეს

**სამტრედიაში დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა 48-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი.**

I ადგილი 9 ქულით დაიკავა სამტრედიელმა ოსტატობის კანდიდატმა მერაბ არჩვაძემ.

II-III ადგილები 8,5-8,5 ქულით გაიყვეს სერგო მინასიანმა და რეზო დადიანმა (ორივე — აფხაზეთი).

IV-V ადგილები კი 8-8 ქულით გაინაწილეს ფელიქს მელქონიანმა (ბათუმი) და რაულ კაპანაძემ (წყალტუბო).

უკეთესი კოეფიციენტით IV ადგილი და I-III ადგილების მფლობელებთან ერთად საქართველოს 48-ე ჩემპიონატის I ლიგის საგზური ფელიქს მელქონიანს მიეკუთვნა.

**ბაჩან ჩხაიძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი საფეხბურთო შეჯიბრება

**საკავშირო** პროფკავშირების სპორტსაზოგადოებამ გადაწყვიტა დააწესოს ახალი საფეხბურთო შეჯიბრება II ლიგის IX ზონის გუნდებისთვის.

ტურნირის მიზანია წინასასეზონო პერიოდში გეგმაზომიერი სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ორგანიზება II ლიგის კოლექტივებში, ახალ ფეხბურთელთა შემოწმება და გამოცდა. ამ მიზნით შეჯიბრების პირველ ეტაპზე გუნდებს უფლება აქვთ განაცხადში შეიყვანონ 26 ფეხბურთელი, მეორე ეტაპზე კი, როცა მწვრთნელები უკვე დაადგენენ ძირითად შემადგენლობებს, განაცხადში ნებადართულია 18 ფეხბურთელის შეყვანა.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს IX ზონის 16 გუნდი. ზონაში ჩართული ახლადშექმნილი ქაბუკთა კოლექტივები წლეულს ტურნირიდან თავისუფალი არიან, ვინაიდან ამ პერიოდში მათ საკმაოდ მრავალი საორგანიზაციო საკითხი აქვთ გადასაჭრელი.

პირველ ეტაპზე ტურნირი ჩატარდება 2 წრედ, 16 გუნდი ტერიტორიული პრინციპით განაწილებულია 4 ჯგუფად, ჯგუფების შემადგენლობანი ასეთია:

**„ა“ ჯგუფი.** „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი), „ლორი“ (კიროვაკანი), „შირაკი“ (ლენინაკანი), „გოიაზანი“ (ყაზახი).

**„ბ“ ჯგუფი.** „დინამო“ (სოხუმი), „კოლხეთი“ (ფოთი), „ლოკომოტივი“ (სამტრედია), „მერცხალი“ (მახარაძე).

**„გ“ ჯგუფი.** „ვოსხოდი“ (სუმგაითი), „ქიაფაზი“ (კიროვაბადი), „არაზი“ (ნახიჩევანი), „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი).

**„დ“ ჯგუფი.** „დილა“ (გორი), „ტორპედო“ (ქუთაისი), „შევარდენი“-სპი (თბილისი), „მეტალურგი“ (რუსთავი).

წინასწარ ჯგუფებში პირველ 3-3 ადგილებზე გასული გუნდები ბრძოლას განაგრძობენ ტურნირის მეორე ეტაპზე, ამასთან, ჯგუფებში გამარჯვებული გუნდები უშუალოდ გადიან. მეოთხედფინალში, ხოლო გუნდები, რომლებიც მეორე და მესამე ადგილებს დაიკავებენ, მერვედფინალში ერთმანეთს შორის ითამაშებენ ასეთი წესით: „ა“ ჯგუფში მეორე ადგილზე გასული გუნდი შეხვდება „ბ“ ჯგუფში მესამე ადგილზე გასულს, „ბ“ ჯგუფში მეორე ადგილზე გასული — ა„“ ჯგუფში მესამე ადგილზე გასულს, „გ“ ჯგუფში მეორე ადგილზე გასული — „დ“ ჯგუფში მესამე ადგილზე გასულს და „დ“ ჯგუფში მეორე ადგილზე გასული — „გ“ ჯგუფში მესამე ადგილზე გასულს. ეს თამაშები გაიმართება მეორე ადგილზე გასული გუნდების მინდვრებზე.

ასევე ჯვარედინი წესით გაიმართება შეხვედრები მეოთხედფინალში, ხოლო ნახევარფინალში მეტოქეები დაწყვილდებიან წილისყრის მიხედვით.

გთავაზობთ პროფკავშირების სპორტსაზოგადოების ახალი საფეხბურთო შეჯიბრების კალენდარს.

**პირველი წრე**

**28 თებერვალი. I ტური.** „სპარტაკი“ — „გოიაზანი“, „ლორი“ — „შირაკი“, „დინამო“ — „მერცხალი“, „კოლხეთი“ — „ლოკომოტივი“, „ვოსხოდი“ — „ყარაბახი“, „ქიაფაზი“ — „არაზი“, „დილა“ — „მეტალურგი“, „ტორპედო“ — „შევარდენი“.

**5 მარტი. II ტური.** „გოიაზანი“ — „შირაკი“, „სპარტაკი“ — „ლორი“, „მერცხალი“ — „ლოკომოტივი“, „დინამო“ — „კოლხეთი“, „ვოსხოდი“ — „ქიაფაზი“, „ყარაბახი“ — „არაზი“, „მეტალურგი“ — „შევარდენი“, „დილა“ — „ტორპედო“.

**8 მარტი. III ტური.** „შირაკი“ — „სპარტაკი“, „გოიაზანი“ — „ლორი“, „ლოკომოტივი“ — „დინამო“, „მერცხალი“ — „კოლხეთი“, „არაზი“ — „ვოსხოდი“, „ყარაბახი“ — „ქიაფაზი“, „შევარდენი“ — „დილა“, „მეტალურგი“ — „ტორპედო“.

**მეორე წრე**

**13 მარტი IV ტური.** „ლორი“ — „სპარტაკი“, „შირაკი“ — „გოიაზანი“, „კოლხეთი“ — „დინამო“, „ლოკომოტივი“ — „მერცხალი,“ „ქიაფაზი“ — „ვოსხოდი“, „არაზი“ — „ყარაბახი“, „ტორპედო“ — „დილა“, „შევარდენი“ — „მეტალურგი“.

**19 მარტი. V ტური.** „სპარტაკი“ — „შირაკი“, „ლორი“ — „გოიაზანი“, „დინამო“ — „ლოკომოტივი“, „კოლხეთი“ — „მერცხალი“, „ვოსხოდი“ — „არაზი“, „ქიაფაზი“ — „ყარაბახი“, „დილა“ — „შევარდენი“, „ტორპედო“ — „მეტალურგი“.

**26 მარტი. VI ტური.** „შირაკი“ — „ლორი“, „გოიაზანი“ — „სპარტაკი“, „ლოკომოტივი“ — „კოლხეთი“, „მერცხალი“ — „დინამო“, „არაზი“ — „ქიაფაზი“, „ყარაბახი“ — „ვოსხოდი“, „შევარდენი“ — „ტორპედო“, „მეტალურგი“ — „დილა“.

# ყველაფერი თავიდან?..

(დასასრული)

წრეში მათი ერთადერთი თანაგუნდელი მერაბ აჯამელაშვილი გავიდა. საკვირველი ის არის, რომ ეს სპორტსმენი საქართველოს 24 უძლიერეს დაშნით მოფარიკავეს შორის არც ირიცხება. მას **არავინ ავარჯიშებს და არავინ უწევს მეურვეობას. ამ ერთი მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ მწვრთნელთა მუშაობაში ყველაფერი რიგზე არ არის.** რა საჭიროა მარტო „შინაური“ ჩემპიონების აღზრდაზე იზრუნოს კაცმა, თუ საკავშირო შეჯიბრებაზე ასეთი მარცხის მოწმენი გავხდებით, ისიც საკუთარ ბილიკზე. ტრადიცია ტრადიციად, მაგრამ მარტო ხმლით ფარიკაობისა და ორიოდე რაპირისტის იმედით ყოფნა დიდი ნუგეში არ არის. ბოლოს და ბოლოს, დაშნით ფარიკაობის სპეციალისტების რაოდენობა მეტი თუ არა, ნაკლები არ არის ხმლით მოფარიკავეთა მწვრთნელების რიცხვზე.

ჩვენს გოგონებსაც ვერაფერს ვუსაყვედურებთ. მათ, როგორც უკვე ვთქვით, ბევრად უფროს მეტოქეებთან მოუხდათ ბრძოლა. მაგრამ **სად იყვნენ იუნიორთა ასაკის სპორტსმენები? აქ აშკარად ჩანს ადრე დაშვებულ შეცდომათა კვალი.** თუმცა ჩვენში გოგონებს ძირითადად მხოლოდ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თამარ დარასელია ავარჯიშებს და კიდევ ერთი-ორი ახალგაზრდა მწვრთნელი. რაიონებიდან ისე მოუმზადებელი ბავშვები ჩამოდიან, რომ, როგორც თ. დარასელიამ გვითხრა, ჯობს მოწაფე აიყვანო და თავიდან ასწავლო ფარიკაობა...

— შეიძლება თუ არა მდგომარეობის გამოსწორება დაშნით ფარიკაობაში? — ვკითხეთ ორგზის მსოფლიო ჩემპიონს გურამ კოსტავას, რომელიც ახლახან პროფკავშირების სპეციალიზებული საფარიკაო ფილის დირექტორად დაინიშნა (ყოფილი „ბურევესტნიკის“ სკოლა).

— შეიძლება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 10-11 წლის ბავშვებს შეარჩევ მოწაფეებად და თავიდან დაიწყებ ყველაფერს. — გვიპასუხა მან.

რასაკვირველია, ჩვენ იმის მტკიცებას არ ვაპირებთ, თითქოს მოქმედ სპორტსმენთა შორის არ იყვნენ ნიჭიერი, პერსპექტიული მოფარიკავეები, მაგრამ აშკარაა, რომ **მათ უკეთესად ვარჯიში, უკეთესად მომზადება სჭირდებათ.** მაგალითად, ზოგიერთის აზრით, ქეთევან გაჩეჩილაძეს, რომელიც ფინალში გავიდა, უკეთესადაც შეეძლო გამოსვლა, მაგრამ მას წინა შეჯიბრებები გამოუტოვებია და წარმატებას სპორტული ფორმის კი არა, უფრო მონდომების შედეგად მიაღწია... ერთი სიტყვით, **იუნიორთა ამ პირველობამ აშკარად დაგვანახა, რომ ჩვენს ფარიკაობაში ბევრი, ძალზე ბევრი მუშაობაა საჭირო მდგომარეობის გამოსასწორებლად.**

დაშნით მოფარიკავეთა პირველობა კი ესტონელი კაიდო კაბერმაას („დინამო“) გამარჯვებით დამთავრდა, რომელმაც ფინალში სძლია თანაგუნდელ დანიელ შეკოტიხინს (ხარკოვი) — 10:6. მსოფლიო ჩემპიონი იუნიორთა შორის, მოსკოვის არმიელი პაველ კორობკოვი III ადგილზე გავიდა.

თბილისის სპორტკომიტეტის მიერ დაწესებული იყო უდროოდ დაღუპული ნიჭიერი ქართველი მოფარიკავის მალხაზ ადეიშვილის სახელობის პრიზი, ეს ჯილდო დაისაკუთრა ხმლით ფარიკაობაში გამარჯვებულმა მოსკოველმა ვლადიმირ პროკინმა, რომელსაც პრიზი მ. ადეიშვილის დედამ გადასცა.

**ზიორზი პავლიაშვილი.**

# ვის რა გეგმები აქვს



**ევროპის ჩემპიონატამდე ხუთ თვეზე ნაკლები დარჩა. გუნდების მწვრთნელებმა შეიმუშავეს მზადების გეგმები, რომლებიც ითვალისწინებს ამხანაგურ შეხვედრებს სხვადასხვა კოლექტივებთან. ინტერესმოკლებული არ იქნება გავეცნოთ ამ შეხვედრათა კალენდარს.**

**გფრ-ის ნაკრები** ყველა შეხვედრას თავის მოედნებზე ატარებს. 31 მარტს და 2 აპრილს დაგეგმილია ორი თამაში დასავლეთ ბერლინში. აქ გაიმართება ოთხთა ტურნირი, გფრ-ს, არგენტინის, საბჭოთა კავშირისა და შვეციის გუნდების მონაწილეობით. 27 აპრილს კაიზერსლაუტერნში ამ ქვეყნის ნაკრები შვეიცარიის გუნდს შეხვდება. 10 მაისს დუისბურგში გაიმართება საბენეფისო მატჩი გფრ-ის ნაკრების ყოფილი კაპიტნის, 1980 წლის ევროპის ჩემპიონის ბერნდ ლიტცის ფეხბურთიდან გაცილებასთან დაკავშირებით. ერთმანეთს შეხვდებიან გფრ-ს ახლანდელი და 1980 წლის ნაკრები. მაისის დასაწყისში დაგეგმილია შეხვედრა იუგოსლავიელებთან.

**იტალიელთა** მწვრთნელმა ვიჩინიმაც ხუთი მატჩი დაგეგმა. 20 თებერვალს ბარიში საბჭოთა კავშირთან, 31 მაისს რიეკაში იუგოსლავიასთან, 27 აპრილს ლუქსემბურგში ამ ქვეყნის ნაკრებთან, 23 მაისს შინ უელსთან და 1 ივნისს კიდევ ერთ მეტოქესთან.

**დანია** ჩემპიონატამდე ჩაატარებს ოთხ შეხვედრას, მათ შორის ორს — მეტოქის მინდორზე: 27 აპრილს ვენაში ავსტრიასთან, 11 მაისს ათენში ბერძნებთან და ორ თამაშს საკუთარ მინდორზე, 1 ივნისს — კოპენჰაგენში ჩეხოსლოვაკიასთან და 5 ივნისს ორხუსში ბელგიელებთან.

**ესპანელები** ექვს მეტოქეს ხვდებიან, 24 იანვარს მათ უკვე ითამაშეს გდრ-თან (0:0), 24 თებერვალს ვალენსიაში შეხვდებიან ჩეხოსლოვაკიას, 23 მარტს ბორდოში — ფრანგებს, 27 აპრილს მადრიდში — შოტლანდიელებს, 1 ივნისს სალამანკაში — შვედებს და 5 ივნისს შვეიცარიაში — ადგილობრივ ნაკრებს.

საბჭოთა ნაკრების უშუალო მეტოქეთა გეგმები ასეთია:

**ჰოლანდიის** ნაკრები 23 მარტს ლონდონში ითამაშებს ინგლისელებთან, 24 მაისს შინ მიიღებს ბულგარელებს, ხოლო 1 ივნისს ასევე შინ — რუმინეთის ნაკრებს.

**ინგლისელები** ჰოლანდიის ნაკრების გარდა ითამაშებენ: 17 თებერვალს ტელ-ავივში ისრაელის გუნდთან, 27 აპრილს ბუდაპეშტში — უნგრეთთან, 21 მაისს ლონდონში — შოტლანდიასთან, 24 მაისს იქვე — კოლუმბიასთან (ეს ორი შეხვედრა გაიმართება სტენლი როუზის თასის გათამაშების პროგრამით). 28 მაისს კი ინგლისელები ესტუმრებიან შვეიცარიას.

**ირლანდიელი** ფეხბურთელები 17 თებერვალს შეხვდებიან თავისი ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებს. ეს მატჩი ირლანდიელ ფეხბურთელ დეილის მიეძღვნება, 23 მარტს დაგეგმილია მატჩი რუმინეთთან, 27 აპრილს — იუგოსლავიასთან. 17 მაისს — სტეპლტონის საპატივცემულოდ ირლანდიის ნაკრები ითამაშებს ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედთან“. 22 მაისს — პოლონეთის ნაკრებთან (ყველა მატჩი დუბლინში გაიმართება). ბოლო საკონტროლო თამაში ჩატარდება 1 ივნისს ოსლოში, ნორვეგიის გუნდთან.

**საკუთარი ინფორმაცია.**



**მადრიდი.** ესპანეთის ეროვნული ჩემპიონატის მორიგ ტურში 2-2 ქულა ჩაიწერეს გათამაშების ლიდერმა მადრიდის „რეალმა“ და მისმა მთავარმა კონკურენტმა „ატლეტიკომ“ (მადრიდი). „რეალმა“ ანგარიშით 2:1 დაამარცხა ხიხონის „სპორტინგი“, მადრიდის „ატლეტიკომ“ კი დიდი ანგარიშით მოუგო მალიორკის „რეალს“ — 7:0. სადღეისოდ, 21 ტურის შემდეგ, 36 ქულით წინაა მადრიდის „რეალი“, „ატლეტიკო“ მას 6 ქულით ჩამორჩება.

გათამაშების ცხრილის შუაგულში იმყოფება (XI ადგილი) ცნობილი „ბარსელონა“, რომელსაც სულ 20 ქულა აქვს. „ბარსელონამ“ განვლილ ტურში მხოლოდ ქულა აიღო „სევილიასთან“ მატჩში (1:1), გარდა ამისა, მსაჯის შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გააძევეს გუნდის საუკეთესო მცველი მირანდა.

**რომი.** 4 ქულით უსწრებს მდევრებს იტალიის ჩემპიონატის ლიდერი „ნაპოლი“, რომელმაც ანგარიშით 2:1 დაამარცხა „პიზა“. ნეაპოლიტანელ ფეხბურთელებს 18 მატჩის შემდეგ 31 ქულა აქვთ, ხოლო გუნდის ლიდერმა არგენტინელმა მარადონამ 11 ბურთი გაიტანა. ჯერჯერობით იგი საუკეთესო ბომბარდირია.

ამ ტურში გაიმარჯვა „მილანმაც“, რომელიც მეორე ადგილზე იმყოფება. მილანელებმა ანგარიშით 3:0 მოუგეს „ჩეზენას“. კვლავ საუცხოოდ თამაშობს „მილანის“ ჰოლანდიელი თავდამსხმელი რ. გულიტი, ბოლო მატჩებში მას სისტემატურად გააქვს ბურთები.

**ჰააგა.** ჰოლანდიის ჩემპიონატის განვლილ ტურში კვლავ ხულიგნურად იქცეოდნენ გულშემატკივრები, მათი უდისციპლინო საქციელის გამო ნახევარი საათით შეყოვნდა ლიდერების „ეინდჰოვენისა“ და „აიაქსის“ შეხვედრა. მაყურებლები ფეხბურთელებს კარგა ხანს არ აძლევდნენ მინდორზე გამოსვლის საშუალებას, ათასგვარ საგანს ისროდნენ ტრიბუნებიდან. ბოლოს, მატჩი მაინც შედგა, გაიმარჯვა „ეინდჰოვენმა“ — 1:0. ეს კლუბი ახლა პრაქტიკულად მიუღწეველია მეტოქეთათვის, მას 20 ტურის შემდეგ 39 ქულა აქვს. „აიაქსი“ ლიდერს 7 ქულით ჩამორჩება.

# მარცხი პირველსავე წრეში

**გაიმართა** დევისის თასის — ჩოგბურთელთა მსოფლიოს არაოფიციალური გუნდური ჩემპიონატის მერვედფინალური მატჩები.

ამ ჯილდოს ახლანდელმა მფლობელმა შვეციის ნაკრებმა „მშრალი“ ანგარიშით დაამარცხა ახალი ზელანდიის გუნდი — 5:0. ასეთივე შედეგით დამთავრდა ჩეხოსლოვაკია—პარაგვაისა და გფრ — ბრაზილიის ჩოგბურთელთა შეხვედრები. სხვა მატჩებში ასეთი შედეგები აღინიშნა: შვეიცარია — საფრანგეთი 1:4, დანია — ესპანეთი 3:2, იტალია—ისრაელი 4:1, ინდოეთი — იუგოსლავია 2:3.

ყველაზე დიდხანს გაგრძელდა მექსიკისა და ავსტრალიის გუნდების ორთაბრძოლა. უამინდობის გამო თამაში რამდენჯერმე გადაიდო. ბოლო ქულა თავის გუნდს ავსტრალიელთა ლიდერმა პატ კეშმა შესძინა და შეხვედრა მწვანე კონტინენტის ჩოგბურთელებმა მოიგეს — 3:2.

**დალასი (აშშ).** აქ დაიწყო ჩოგბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. პირველ წრეში მინსკელმა ნატალია ზვერევამ რობინ უაიტი (აშშ) დაამარცხა—6:1, 3:6, 6:2.

**ლიონი.** „გრან პრის“ პროგრამით გამართული ტურნირის პირველი წრე მოსკოველი ანდრეი ჩესნოკოვისთვის უიღბლო გამოდგა — მან სასტარტო შეხვედრა წააგო ჯაია დოუმბილთან (სენეგალი) 6:7 6:7.

## ინფორმაცია

**ცნობილ** შვედ მოთხილამურეს გუნდე სვანს ამა წლის 18 იანვარს 26 წელი შეუსრულდა. თავისი დაბადების დღეს სპორტსმენი ავსტრიის ალპურ ბანაკში შეხვდა, სადაც თვეზე მეტია ინტენსიურად ვარჯიშობს. ავსტრიელმა კოლეგებმა სახელოვან მოთხილამურეს საჩუქრად საიუბილეო ტორტი მიართვეს, რაზედაც სვანმა განაცხადა:

— ეს საჩუქარი მავალებს, რომ კალგარიში სულ ცოტა ორი ოლიმპიური ოქროს მედალი მოვიგო.

**ცნობილმა** ფიგურისტმა ქალმა კატარინა ვიტმა (გდრ) გაიმეორა ლეგენდარული ნორვეგიელის სონი ჰენის რეკორდი — ევროპის ჩემპიონის სახელი მეექვსედ მოიპოვა. ჰენი, როგორც ცნობილია, 30-იანი წლების მსოფლიოს საუკეთესო ფიგურისტი იყო.

## „სპორტპროგნოზი“

**მეექვსე ტირაჟის შედეგები**
**(6-7 თებერვალი)**

1-2, 2-1, 3-X, 4-2, 5-1, 6-1, 7-1, 8-X, 9-2, 10-2, 11-1, 12-2, 13-2.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

## „სპორტლოტო“

**7 თებერვალს** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, მეექვსე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 11 (ფრენბურთი), 28 (ტყვიის სროლა), 42 (ჩოგბურთი), 43 (ტურიზმი), 44 (ჭადრაკი).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 18 (მძლეოსნობა), 22 (წყალში ხტომა), 25 (ციგაობა), 28 (ტყვიის სროლა), 32 (ფიგურული ციგურაობა).

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096**
**თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66425**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05177